**განყოფილება:** *ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის*

**საკვლევი თემის დასახელება:** ქ.ბათუმის სხვადასხვა სოციალური ჯგუფის სოციოლოგიური კვლევა (რესპოდენტთა სოციოლოგიური გამოკითხვის მასალების მიხედვით)

**ხელმძღვანელი/შემსრულებლები:** ნუგზარ ჩხაიძე

**საკვლევი თემის მიზანი:** ქ. ბათუმში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (შშმპ) ცხოვრების პირობების და საქმიანობის სოციოლოგიური შესწავლა.

**მიღებული შედეგი (არა უმეტეს 250 სიტყვისა):** 2020 წელს განხორციელდა პროექტის მესამე ეტაპის კვლევა - ქ. ბათუმში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (შშმპ) ცხოვრების პირობების და საქმიანობის სოციოლოგიური შესწავლა. კვლევის შედეგად წარმოჩნდა ის საკითხები, რომელთა გადაჭრასაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს შშმ პირებისთვის. აღნიშნულმა სოციოლოგიურმა კვლევამ საშუალება მოგვცა გაგვერკვია შშმ პირთა აზრი მათთვის მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ. კვლევის შედეგად, გამოვლინდა ის ძირითადი ფაქტორები, რომელთა გადაუწყვეტელობა აფერხებს შშმ პირების სრულ ინტეგრაციას საზოგადოებაში. კვლევამ აჩვენა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებების გაუთვალისწინებლობა იწვევს მათ დისკრიმინაციას ყოფა-ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შშმ პირთათვის შრომისა და დასაქმების თანაბარი უფლებების უზრუნველყოფა, რომელთა რეალიზება საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში, საკმაო საფუძველი იქნება იმისთვის, რომ შშმ პირებმა შეძლონ საზოგადოებაში სრული სოციალიზაცია და დაიწყონ დამოუკიდებელი, ღირსეული ცხოვრება.

**აპირებთ თუ არა კვლევის შედეგების გამოქვეყნებას და სად:** კვლევის შედეგები გამოქვეყნდება ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომებში

**შენიშვნა**

**განყოფილება:** *ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის*

**საკვლევი თემის დასახელება:** *ნიკო ბერძენიშვილის ფონდებში დაცული ხელოსნობა-შინამრეწველობის მასალები*

**ხელმძღვანელი/შემსრულებლები: ხელმძღვანელი** – *ნოდარ კახიძე,* **შემსრულებლები:** *ჯემალ ვარშალომიძე, როინ მალაყმაძე, ჯემალ მიქელაძე, ნაილა ჩელებაძე, რუსლან ბარამიძე, თამილა ლომთათიძე*

**საკვლევი თემის მიზანი:** ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფონდებში დაცული, ხელოსნობა–შინამრეწველობასთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული მასალების (საექსპედიციო დღიურები) თემატური დამუშავება და გამოსაცემად მომზადება.

**მიღებული შედეგი (არა უმეტეს 250 სიტყვისა):** 2020 წელს განხორციელდა პროექტის მესამე ეტაპზე დაგეგმილი სამუშაოები: დამუშავდა ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფონდებში დაცული, შინამრეწველობა–ხელოსნობასთან დაკავშირებული (ხელოსნობის დარგები (ხით და ქვით ხუროობა, მჭედლობა, მეთუნეობა, ხალხური ფეიქრობა), შინამრეწველობის პროდუქცია) საექსპედიციო ეთნოგრაფიული მასალები (ეთნოგრაფიული დღიურები). განხორციელდა მასალის თემატურად დამუშავება, კლასიფიკაცია, სისტემატიზაცია, მომზადდა საძიებლები და კომენტარები გამოცემისათვის. დამუშავდა, აგრეთვე, ამ თემაზე ფონდებში დაცული ვიზუალური მასალა (ფოტოები, ჩანახატები, სქემები და სხვ.). პროექტით სამეცნიერო ბრუნვაში შემოვა და ადვილად ხელმისაწვდომი გახდება ფონდებში დაცული მასალა, პირველ რიგში, მკვლევარ-ეთნოლოგებისათვის, სტუდენტებისთვის, აგრეთვე, ფართო საზოგადოებისათვის.

**აპირებთ თუ არა კვლევის შედეგების გამოქვეყნებას და სად:** კვლევის შედეგები გამოქვეყნდება სერიული კრებულის სახით „ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოგრაფიული ფონდის მასალები. ხელოსნობა-შინამრეწველობა“, ტ.3.

**შენიშვნა**

**განყოფილება:** ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის

**საკვლევი თემის დასახელება:** აჭარულ და ტაო-კლარჯულ კილოთა სიტყვის კონა

**ხელმძღვანელი/ შემსრულებლები:** ხელმძღვანელი ე.ფუტკარაძე, **შემსრულებლები:** ნ.ნოღაიდელი, ც. ნარაკიძე, ნ. ახვლედიანი, ნ. მიქელაძე, ო. მემიშიში.

**საკვლევი თემის მიზანი:** აჭარულ და ტაო-კლარჯულ კილოთა სალექსიკონო მასალის შესწავლა.

**მიღებული შედეგი (არა უმეტეს 250 სიტყვისა):** პროექტით გათვალისწინებულ საკვლევ საკითხზე მუშაობისას გამოვლინდა ახალი ლექსიკური ერთეულები, ლექსიკური დიალექტიზმები. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სალიტერატურო ენის განვითარებას, მისი ლექსიკური ფონდის გამდიდრებას. გარდა აღნიშნულისა, ტაო-კლარჯეთში ჯერ კიდევ შემონახული ქართული სიტყვა გადარჩება და უცხოეთში მცხოვრებ ქართველებში გამოაცოცხლებს ეროვნულ ცნობიერებას. ტაო-კლარჯელთა მეტყველებაში უამრავი სახასიათო ლექსიკური ერთეულია დაუნჯებული, ზოგი არქაული, ზოგიც საკუთრივ დიალექტის კუთვნილება.

ბუნებრივია, ამ კუთხით კვლევის შედეგია აჭარული და ტაო-კლარჯული კილოების ლექსიკური თავისებურებების საფუძვლიანი, სრულყოფილი შესწავლა.

მიმდინარე წელს, განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ მოძიებული და ბარათებზე გადატანილი ლექსიკური ერთეულები დალაგდა ანბანურ რიგზე. მოხდა ლექსიკური ერთეულების შედარება ქართველურ ენათა შედარებით, ძველი ქართული ენის, სულხან-საბას, დ. და ნ. ჩუბინაშვილების, ა. მაყაშვილის, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონებთან. ამჟამად გრძელდება სალექსიკონო მასალის შედარება სხვადასხვა დიალექტურ ლექსიკონებთან.

მნიშვნელოვანი შედეგია ის, რომ აღნიშნული კუთხით კვლევა შემოგვინახავს დიალექტის ლექსიკურ სახეს.

**კვლევის შედეგები გამოქვეყნდება.** გამოიცემა აჭარულ და ტაო-კლარჯულ კილოთა ლექსიკონი.

**შენიშვნა**

**განყოფილება:** ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის

**საკვლევი თემის დასახელება** (არა უმეტეს 250 სიტყვისა)**:** სტამბოლის ქართული სავანის არქივის შესწავლა.

ხელმძღვანელი/შემსრულებლები ემერიტუსი შუშანა ფუტკარაძე, შემსრულებლები: ელზა ფუტკარაძე, როინ მალაყმაძე

საკვლევი თემის მიზანი: სტამბოლის ქართულ სავანეში დაცული მასალების დამუშავება-შესწავალა .

**მიღებული შედეგი (არა უმეტეს 250** სიტყვისა): დამუშავდა სტამბოლის ქართულ სავანეში არსებული დღემდე უცნობი საარქივო მასალა. გამოვლინდა ბიბლიოთეკასა და არქივში საიმედოდ დაცული, სამომავლოდ შემონახული ქართული კულტურული მემკვიდრეობის შესანიშნავი ნიმუშები. როგორიცაა: პუბლიცისტური და კერძო (ურთიერთ მიმოწერის) წერილები, მემუარული ჩანაწერები, ემიგრაციაში მყოფი საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული მთავრობის საქმიანობის ამსახველი, სხვადასხვა შინაარსისა და დანიშნულების მქონე ისტორიული წყაროები.

**აპირებთ თუ არა კვლევის შედეგების გამოქვეყნებას და სად:** იბეჭდება ცალკე წიგნად-„წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“.

**შენიშვნა**

**განყოფილება:** ისტორიის და არქეოლოგიის

**საკვლევი თემის დასახელება:** ციხისძირის კომპლექსური არქეოლოგიური ძეგლი (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა)

**ხელმძღვანელი:** გიორგი თავამაიშვილი
**შემსრულებლები:** გიორგი თავამაიშვილი, ნინო ინაიშვილი, მაია ჭიჭილეიშვილი, ირინე ვარშალომიძე, სულხან მამულაძე

**საკვლევი თემის მიზანი:** 2020 წლის სამუშაო ეტაპის მიზანი იყო ციხისძირის გვიან ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის და ანტიკური ხანის ნამოსახლარების არქეოლოგიურ მასალათა დამუშავება, ციხისძირის სასახლის შემადგენელი ეკლესიის, აქ მდგარი გარნიზონების მომარაგების საკითხების შესწავლა და გამოსაქვეყნებლად მომზადება.

**მიღებული შედეგი (არა უმეტეს 250 სიტყვისა):** გაწეული სამუშაოების შედეგად განხორციელდა ციხისძირის გვიან ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის ნამოსახლარის სიტუაციური მონაცემების დაზუსტება, ძეგლზე აღმოჩენილი საარქივო მასალის კომპიუტერული დამუშავება და არქეოლოგიური არტეფაქტების გრაფიკული და ფოტო მასალის სისტემატიზირება .
შესწავლილი საფუძველზეც დგინდება, რომ სამოსახლო ფენის წარმოქმნა ძვ.წ. VI ს მეორე ნახევარსა და ძვ.წ. V ს უნდა განეკუთვნებოდეს. ამავე ფენაში მასობრივად არის დამოწმებული ადრე ანტიკური ხანის ადგილობრივი, კოლხური კერამიკა;
გაანალიზდა ციხისძირის სასახლის შემადგენელი ეკლესიის ხუროთმოძღვრული თავისებურებები, წარმოჩნდა ნაგებობის სტრუქტურა, გეგმის, სივრცული გადაწყვეტის სპეციფიკური ნიშნები.
გამოვლინდა ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმში დაცული გამოუქვეყნებელი ბიზანტიური მონეტები ციხისძირიდან, დადგინდა ემისიის წლები და ზარაფხანები, შედგა კატალოგი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.
მოხდა აქ მდგარი გარნიზონების მომარაგების ძირითადი ცენტრების იდენტიფიცირება, მომარაგების სპეციფიკის, ინტენსივობის და სხვ. საკითხთა განსაზღვრა. კვლევის შედეგების საფუძველზე მოხდა მომარაგების სისტემის გრაფიკული რეკონსტრუქციაც.
**აპირებთ თუ არა კვლევის შედეგების გამოქვეყნებას და სად:**

მიღებული შედეგები გამოქვეყნდება მონოგრაფიისა და სამეცნიერო სტატიების სახით, როგორც საქართველოში ასევე უცხოეთში.

**შენიშვნა**

**განყოფილება:** ისტორიისა და არქეოლოგიის

**საკვლევი თემის დასახელება:** ქ. ბათუმში ფრ. ხალვაშის ქ. № 338-ში მდებარე საბანაკო შეკრების ბაზა №3-ის ტერიტორიაზე აღმოჩენილ სამარხთა შესწავლა (საძმო სამარხები)

**2020 წლის ეტაპი:** სამარხთა აღმოჩენისა და გახსნის ისტორია, პირველადი მოკვლევის შედეგები

**ხელმძღვანელი:** ოლეგ ჯიბაშვილი
**შემსრულებლები:** ოლეგ ჯიბაშვილი, ოთარ თურმანიძე, ირინა ვარშალომიძე

**საკვლევი თემის მიზანი:** კვლევა მიზნად ისახავდა, საძმო სამარხების გათხრების შედეგად დაგროვებული ინფორმაციის, სამეცნიერო ლიტერატურის და ზეპირი გადმოცემების საფუძველზე აღნიშნული სამარხების წარმომავლობის და მათში დაკრძალული ადამიანების სავარაუდო ვინაობის (მენშევიკური არმიის ჯარისკაცები, თურქი ასკერები თუ ბოლშევიკურ რეპრესიათა მსხვერპლნი) დადგენას.

**მიღებული შედეგი (არა უმეტეს 250 სიტყვისა):**
შესწავლისათვის გადმოგვცა სამარხებში აღმოჩენილი ტყვიის მასრები და მონეტები. მასრების პირველადი დათვალიერებისას გაგვიჩნდა ეჭვი, რომ ისინი არ იყო სამარხების თანადროული. ჩვენი მოსაზრებები ლევან სამხარაულის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზამაც დაადასტურა. ვფიქრობთ, ვაზნები მექანიკური გზით აღმოჩნდნენ სამარხებში (მიწის სამუშაოები, წყალდიდობა).
შევისწავლეთ, აგრეთვე, ნუმიზმატიკური მასალა (17 ერთეული). შედგენილი იქნა მათი კატალოგი. ნუმიზმატიკურ მასალაზე დაყრდნობით ვფიქრობთ, რომ სამარხების დათარიღების ქვედა ზღვარი, სავარაუდოდ, 1937 წელი უნდა იყოს. აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დახმარებით მონეტებს ჩაუტარდა გაწმენდითი და გამაგრებითი სამუშაოები.
ჩვენს ხელთ არსებულ მასალებზე დაყრდნობით (აღმოჩენილი არტეფაქტები, ნეშტების სპეციფიკური პოზები, ნატყვიარები თავის ქალებში...), ვფიქრობთ, რომ საძმო სამარხები ეკუთვნით 1937-38 წლების რეპრესიათა მსხვერპლთ. ამ მოსაზრებას ამაგრებს ცნობილი მკვლევარის ოთარ თურმანიძის დასკვნაც, რომელიც მიუთითებს, რომ მასობრივი, ჯგუფური დახვრეტები, აჭარაში, ძირითადად, 1937-38 წლებში ხდებოდა.

**აპირებთ თუ არა კვლევის შედეგების გამოქვეყნებას და სად:**

კვლევის საბოლოო შედეგები, სტატიის სახით, გამოქვეყნდება როგორც ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომებში ასევე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის – „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ – მასალებში და სხვა საერთაშორისო ჟურნალებში.

**შენიშვნა**

**განყოფილება:** ისტორიისა და არქეოლოგიის

**საკვლევი თემის დასახელება:** ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XV ს. - XX ს-ის 90-იან წწ.

**ხელმძღვანელი:** უჩა ოქროპირიძე
**შემსრულებლები:** უჩა ოქროპირიძე, ოთარ თურმანიძე, მერაბ მეგრელიშვილი

**საკვლევი თემის მიზანი:** საკვლევი თემის მიზანი იყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1900-1991 წლების მანძილზე მიმდინარე ეროვნული-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ამოცანებისა და მიზნების კვლევა ,მიმდინარე რეპრესიების თავისებურებების გააზრება

**მიღებული შედეგი (არა უმეტეს 250 სიტყვისა):**

დადგინდა და გაანალიზდა ის პირობები, რომელშიც განვითარდა ქართული ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით კი აჭარაში, ახალ საარქივო მასალაზე დაყრდნობით, განისაზღვრა რეპრესიების მოტივაცია, მისი განხორციელების ფორმები და მეთოდები. ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ აჭარაში XX საუკუნის 20-იან წლებსა და 30-იანი წლების პირველ ნახევარში საბჭოთა ხელისუფლებამ განახორციელა პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და იდეოლოგიური ხასიათის რეპრესიები, რომლებიც მკვეთრად განსხვავდებოდა 1937-1938 წლების რეპრესიებისაგან. 20-იან წლებსა და 30-იანი წლების პირველ ნახევარში მასობრივ დახვრეტებს ადგილი არ ჰქონია. გამონაკლისი იყო 1924 წლის აჯანყების მონაწილეები. აღნიშნული პერიოდის პოლიტიკური რეპრესიების შედეგად გაანადგურეს არაკომუნისტური პარტიების ორგანიზაციები და საზოგადოებრივი კავშირები, ადგილობრივი აღა-ბეგები, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის სახელით – შეძლებული გლეხები, როგორც კულაკები. იდეოლოგიური ხასიათის რეპრესიებიდან აღსანიშნავია სასულიერო პირებისა და მორწმუნეთა დევნა-შევიწროება.

დასაბუთდა, რომ 1900-1906 წლებში რუსეთის ხელისუფლების მიერ ბათუმის ოლქში კოლონიური პოლიტიკის გაძლიერებას, შესაბამისად, მოჰყვა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოცოცხლება.

**აპირებთ თუ არა კვლევის შედეგების გამოქვეყნებას და სად:**

სამეცნიერო კვლევის შედეგები გამოქვეყნდება ონლაინ-ჟურნალში „ამირანი“ და საქ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალში „მაცნე“, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომებში.

ასევე გამოქვეყნდება მონოგრაფია ,,ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპის დასაწყისი ბათუმის ოლქში 1900-1921 წლებში“.

**შენიშვნა**